საქართველოს მთავრობის

დადგენილება №496

2021 წლის 6 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს ტყის კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილისა და 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულება.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილება.

მუხლი 3

1. დადგენილება, გარდა დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლი ამოქმედდეს საქართველოს ტყის კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესის მთავრობის მიერ დამტკიცებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დებულება
ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ

თავი I

მუხლი 1. მოწესრიგების სფერო

1. ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულება (შემდგომში – დებულება) აწესრიგებს ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის ფარგლებში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. დაცული ტერიტორიების საზღვრებში ამ დებულებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ დებულებითა და „დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციის განხორციელების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 2. მოწესრიგების მიზანი

1. ამ დებულების მოწესრიგების მიზანია:

ა) სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო ტყის სტატუსის მინიჭებისთვის სამართლებრივი პროცედურების განსაზღვრა;

ბ) ტყის სტატუსის შეწყვეტის წესის, სამართლებრივი პროცედურებისა და შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრის წესის დადგენა;

გ) ტყის საზღვრების დადგენის წესისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;

დ) ტყის საზღვრების კორექტირების/შეცვლის წესებისა და სამართლებრივი პროცედურების განსაზღვრა.

2. ამ დებულების მიზნებისთვის საქართველოს ტყის კოდექსის ამოქმედებამდე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდი მიიჩნევა სახელმწიფო ტყედ, რომლის საზღვრები დადგენილია „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს ამ დებულების მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საქართველოს ტყე** – სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო საკუთრების ტყეებისა და მათი რესურსების ერთობლიობა;

ბ) **სახელმწიფო ტყე –** საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში;

გ) **მუნიციპალური ტყე –** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომლის მიმართ მმართველობით უფლებამოსილებებს საქართველოს ტყის კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები;

დ) **კერძო საკუთრების ტყე –** საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც მდებარეობს ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე;

ე) **ტყის კონტური (საზღვარი)** – საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ტყის საზღვარი;

ვ) **კარტოგრაფიული მასალები** – ტყის კორომთა გეგმები, ტოპოგრაფიული რუკები, ორთოფოტოგეგმები, საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაცია, Shp-ფაილები და სხვ;

ზ) **ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისია (შემდგომში – კომისია)** – კომისია, რომელიც იქმნება მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისთვის ან მისი ნაწილისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების, ხოლო კერძო პირის საკუთრებაში არსებული ტერიტორიისთვის – კერძო საკუთრების ტყის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით დასკვნის მომზადების მიზნით;

თ) **მინისტრი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

ი) **სამინისტრო** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2. ამ დებულებაში გამოყენებული სხვა ტერმინები უნდა განიმარტოს საქართველოს ტყის კოდექსის საფუძველზე.

მუხლი 4. დაინტერესებული პირის ვალდებულებები

ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, კორექტირების/შეცვლის საკითხით დაინტერესებული პირი თავად უზრუნველყოფს ამ დებულებით მოთხოვნილი მასალების მომზადებასა და წარდგენას.

თავი II

ტყის სტატუსის მინიჭება

მუხლი 5. ტყის სტატუსის მინიჭება

ტერიტორიას ტყის სტატუსი ენიჭება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველია სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ სამინისტროს შუამდგომლობა, რომელიც შემუშავდება ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 6. სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ სამინისტროს შუამდგომლობის მომზადება

1. სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ შუამდგომლობას სამინისტრო ამზადებს ამ დებულებით განსაზღვრული წესით, საზღვრების დადგენის საფუძველზე, შესაბამის ტყის მართვის ორგანოებთან ერთად.

2. სახელმწიფო ტყის საზღვრების დაზუსტებისას/ფართობების გამოვლენისას გამოიყენება არსებული კარტოგრაფიული მასალები ან/და საველე სამუშაოების შედეგად მიღებული სატაქსაციო აღწერები, რასაც უზრუნველყოფს სამინისტრო, შესაბამის მართვის ორგანოებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. სამინისტროს შუამდგომლობა უნდა შეთანხმდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ხოლო ტყეთმოწყობის განხორციელებისას ადმინისტრაციულ წარმოებაში სავალდებულოა შესაბამისი მუნიციპალიტეტის მონაწილეობა, კანონმდებლობით განსაზღვრული მისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებული შუამდგომლობა არ უნდა მოიცავდეს სასარგებლო წიაღისეულის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და შეთანხმების მომენტისთვის ლიცენზიის გაცემისთვის გამოცხადებული აუქციონების ფარგლებში არსებულ ფართობებს, ასევე სასარგებლო წიაღისეულის იმ არსებული საბადოების ფართობებს, რომლებზეც შეთანხმების მომენტისთვის დამტკიცებულია/შესწავლილია მარაგები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის დადგენილება №94 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 7. მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების წესი

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისთვის ან მისი ნაწილისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ შუამდგომლობას სამინისტროს წარუდგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შუამდგომლობის მომზადებისას ხელმძღვანელობს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმებით. შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს სატაქსაციო აღწერა და კარტოგრაფიული მასალები.

2. მუნიციპალიტეტის შუამდგომლობას განიხილავს კომისია. კომისია ამზადებს დასკვნას მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით.

3. კომისია მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას აფასებს წარდგენილი შუამდგომლობით დასმული საკითხის შესაბამისობას დარგში ერთიან პოლიტიკასთან.

4. კომისიის დასკვნის საფუძველზე სამინისტრო ამზადებს შუამდგომლობას მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ. ადმინისტრაციულ წარმოებაში სავალდებულოა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაწილეობა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება სახელმწიფო ტყის ფართობების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა. ასევე, წარმოებაში ჩართულნი უნდა იყვნენ სხვა დაინტერესებული პირები, რომელთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ეხება მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება.

5. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართობებისთვის ტყის სტატუსის მინიჭების წესი

თუ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართობი აკმაყოფილებს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ტერმინის –„ტყის“ განმარტების მოთხოვნებს, ასეთ ტერიტორიას შეიძლება, მიენიჭოს მუნიციპალური ტყის სტატუსი, შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე (რომელიც შეიცავს ინფორმაციას ტყის მართვის ზოგად მიზნებსა და გეგმასთან დაკავშირებით), რომელსაც განიხილავს კომისია. შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს სატაქსაციო აღწერა და კარტოგრაფიული მასალები. კომისიის დასკვნის საფუძველზე სამინისტრო ამზადებს შუამდგომლობას მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ და წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას. ტერიტორიისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შემდეგ მასზე ვრცელდება საქართველოს ტყის კოდექსის მოთხოვნები.

მუხლი 9. კერძო ტყის სტატუსის მინიჭების წესი

1. თუ კერძო პირის საკუთრებაში არსებული ტერიტორია ბუნებრივადაა გატყევებული და აკმაყოფილებს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ტერმინის – „ტყის“ განმარტების მოთხოვნებს, კერძო მესაკუთრის ინიციატივით ან მასთან შეთანხმებით, კომისიის დასკვნის საფუძველზე, ტერიტორიას შეიძლება, მიენიჭოს კერძო ტყის სტატუსი.

2. კერძო ტყის სტატუსის მინიჭებით დაინტერესებული პირი სამინისტროს მიმართავს შესაბამისი განცხადებით, რასაც თან უნდა დაერთოს სატაქსაციო აღწერა და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალები (საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაცია, Shp-ფაილები).

3. კომისიის დასკვნის საფუძველზე სამინისტრო ამზადებს კერძო საკუთრების ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ შუამდგომლობას და წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიისთვის კერძო საკუთრების ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კერძო მესაკუთრესთან შეთანხმების დროს, თუ კომისიაზე საკითხის განხილვისას კერძო მესაკუთრე დაასაბუთებს კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიის სხვა მიზნით გამოყენების უპირატეს ინტერესს, ამ ტერიტორიას კერძო საკუთრების ტყის სტატუსი არ მიენიჭება. კერძო მესაკუთრის ეს უფლება არ ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, სადაც ტყით დაფარულია სულ მცირე 5 ჰა ფართობი და ტყის შემქმნელი სახეობების საშუალო ხნოვანება 20 წელია.

მუხლი 10. სახელმწიფო ტყის საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემა

1. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ტყის ნაწილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ტყის ნაწილი შეიძლება, მოიცავდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არსებული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე (უშუალოდ მდებარეობს ეკლესია-მონასტერთან) ტყეთა ფართობებს – თითოეულ შემთხვევაში არა უმეტეს 20 ჰექტრისა, აგრეთვე საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრულ მიჩენილ ტერიტორიებს. ამასთან, გადასაცემი ფართობი ისე უნდა განისაზღვროს, რომ მისმა გამოყოფამ არ დაარღვიოს არსებული სატყეო ლიტერების საზღვრები.

3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, სამინისტრო ამზადებს შუამდგომლობას და წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას. განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი სატაქსაციო აღწერა და კარტოგრაფიული მასალები (აბრისი, საკადასტრო ნახაზი). ამასთან, ფართობის საზღვრები მაქსიმალურად უნდა გატარდეს მყარ, ბუნებრივ (მდინარე, ხევი, გზა, ქედი, სერი და სხვა) საზღვრებზე.

4. საქართველოს ტყის ნაწილის საპატრიარქოსთვის გადაცემის შემთხვევაში ფორმდება ტყის ფართობის გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის ფორმასაც ამტკიცებს მინისტრი.

თავი III

ტყის სტატუსის შეწყვეტა და ტყის სტატუსის დაბრუნება

მუხლი 11. ტყის სტატუსის შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება

1. ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინტერესთა ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე. თუ ტყის სტატუსის შეწყვეტის ინტერესი აღემატება ტყის შენარჩუნების ინტერესს, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის მართვის ორგანოს/კერძო მესაკუთრის სასარგებლოდ საკომპენსაციო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

2. ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული წარმოება იწყება ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამინისტროს/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის/მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის მომზადების თაობაზე დაინტერესებული პირი მიმართავს განცხადებით შესაბამის ორგანოს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს სამინისტროს დასკვნას პროექტის განხორციელებისა და ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობასთან, აგრეთვე შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით.

4. სამინისტრო ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობას საქართველოს მთავრობას წარმოუდგენს ამ დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში;

ბ) „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ განსახორციელებელი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობას საქართველოს მთავრობას წარუდგენს ამ დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ განსახორციელებელი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არ ექვემდებარება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.

მუხლი 12. ტყის სტატუსის შეწყვეტის უპირატესი ინტერესები

1. ტყის სტატუსის შეწყვეტის უპირატესი ინტერესი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები;

ბ) საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზანი, თუ მისი განხორციელება შეუძლებელია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში ან/და განსახორციელებელი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზანი არ მოიცავს ტყის სტატუსის შეწყვეტას მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამო ნამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყაროს) მოსაწყობად;

გ) საკურორტო და სარეკრეაციო მიზნით საინვესტიციო პროექტის არსებობა. ამ საფუძვლით ტყის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზნით შერჩეული ტერიტორიის არანაკლებ 75% ფართობზე არსებული მერქნიანი მცენარეებისა და ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნება/დაცვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტყის სტატუსის შეწყვეტით დაინტერესებული პირი ვალდებულია, თითოეულ ერთ ჰექტარამდე ფართობზე განახორციელოს არანაკლებ 400 000 ლარის ინვესტიცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საკომპენსაციო საფასური ერთ ჰექტარამდე ფართობზე განისაზღვრება 100 000 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს. აღნიშნული საკომპენსაციო თანხები გამოიყენება მხოლოდ ტყის აღდგენის ღონისძიებებისთვის.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტყის სტატუსის შეწყვეტით დაინტერესებული პირი ვალდებულია, წარმოადგინოს ტერიტორიის განვითარების გეგმა და შესაბამისი პროექტი.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ტყის სტატუსის შეწყვეტით დაინტერესებული პირის მიერ შერჩეული ტერიტორია ზურმუხტის ქსელის ნაწილია, პირი ვალდებულია, ამ დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან დაურთოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების (ზზშ) დოკუმენტი.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ტყის სტატუსის შეწყვეტით დაინტერესებული პირის მიერ შერჩეული ტერიტორია მდებარეობს საქართველოს ტყის კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ დაცვითი კატეგორიის ტყეში, პირი ვალდებულია, ამ დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან დაურთოს გეოლოგიური ან/და ჰიდროლოგიური კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სსიპ –სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ამ მიზნით, დაინტერესებული პირი ვალდებულია, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის ან სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების თაობაზე.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში, პირი, ვის სასარგებლოდაც მოხდა ტყის სტატუსის შეწყვეტა, ვალდებულია, უზრუნველყოს ამ ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და შესაბამისი აღდგენის ღონისძიებების ჩატარება.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია, დარღვევის აღმოჩენიდან 6 თვის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს ტერიტორიის აღდგენითი ღონისძიებების

გეგმა-პროექტი, დააბრუნოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში და სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი აღდგენის ღონისძიებების განხორციელება.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ტყის აღდგენა უნდა განხორციელდეს სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტისა და ვადების შესაბამისად, რაზეც მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო, რომელიც პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდგომ აფასებს ჩატარებული აღდგენის ღონისძიებების შედეგებს.

11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ტყის აღდგენის ღონისძიებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ პირთან გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.

12. ტერიტორიას, რომელსაც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს დაცული ტერიტორიის სტატუსი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნით ტყის სტატუსი შეიძლება შეუწყდეს საქართველოს ტყის კოდექსით დადგენილი წესით, შესაბამისი დაცული ტერიტორიის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის დადგენილება №94 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 13. ტყის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესი

1. ტყის სტატუსის შეწყვეტით დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს სამინისტროს/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

2. დაინტერესებული პირის განცხადება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზნის, საჭიროების (მიზეზი), აუცილებლობის შესახებ, ასევე პროექტის განხორციელების ალტერნატივების შესწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციას, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ან/და სამუშაოები ხორციელდება არსებულ ინფრასტრუქტურულ ობიექტზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს საკადასტრო აზომვითი ნახაზი (ელვერსია/Shp-ფაილები) და შესაბამისი მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის მასალები, ამ დებულების დანართ №1-ის შესაბამისად.

3. თუ დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკოპინგის პროცედურას, საქმიანობის განმახორციელებელმა სკოპინგის ანგარიშს უნდა დაურთოს ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, კერძოდ, საქართველოს ტყის კონტურს შიგნით არსებული ტერიტორიის ფართობზე და მასზე არსებული მერქნული რესურსის ჭრის აუცილებლობის თაობაზე. ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება თან უნდა დაერთოს გზშ-ის ანგარიშს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, განცხადება ეგზავნება სამინისტროს, შესაბამისი დასკვნის წარდგენის მიზნით. სამინისტროს მიერ ასეთი დასკვნის წარდგენის შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს მთავრობას წარუდგენს შუამდგომლობას ტყის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.

მუხლი 14. ტყის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით სამინისტროს დასკვნის მომზადების წესი

1. სამინისტრო პროექტის განხორციელებისა და ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობასთან, აგრეთვე შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, დასკვნას ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. წარმოებაში ჩართულნი უნდა იყვნენ დაინტერესებული პირები, რომელთა კანონიერ

უფლებებსა და ინტერესებს ეხება ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

2. თუ საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება, ეს დასკვნა მზადდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ფარგლებში.

3. საქართველოს ტყის კოდექსის ამოქმედებამდე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად გაცემის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული დასკვნა მზადდება აგრეთვე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ტყის სტატუსის შეწყვეტაზე უარის თქმის საფუძველია.

4. ამ დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ განსახორციელებელი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არ ექვემდებარება, აღნიშნული დასკვნა მზადდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

5. დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობის, ტყის სტატუსის შენარჩუნების უპირატესობის, ტყის სტატუსის შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგებისა და ტყის სტატუტის შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ.

6. სამინისტროს უარყოფითი დასკვნა არ აფერხებს საქართველოს მთავრობისთვის საკითხის თაობაზე შუამდგომლობის წარმოდგენას, გარდა საკურორტო და სარეკრეაციო მიზნებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ უარყოფითი დასკვნისა.

7. საკურორტო და სარეკრეაციო მიზნებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ სამინისტროს უარყოფითი დასკვნის საფუძველი შეიძლება, იყოს:

ა) თუ განსახილველი ფართობისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტა იწვევს სახელმწიფო ტყის ფრაგმენტაციას;

ბ) ამ დებულების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზზშ-ზე უარყოფითი დასკვნის არსებობა;

გ) გზშ-ის ანგარიშის განხილვის შედეგად საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება;

დ) ამ დებულების მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გეოლოგიური კვლევის უარყოფითი შედეგების არსებობა.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.

მუხლი 15. ტყის სტატუსის დაბრუნების წესი

1. ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, თუ აღარ არსებობს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ტყის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, ტერიტორიას უბრუნდება ტყის სტატუსი არა უგვიანეს აღნიშნული გარემოების დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, ტყის სტატუსის დაბრუნების შესახებ სამინისტროს/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის/მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც შემუშავდება ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სამინისტროს/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის/მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივით ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის მოთხოვნითაც შეუწყდა ტერიტორიას ტყის სტატუსი.

3. იმ შემთხვევაში, თუ ტყის სტატუსის შეწყვეტაზე გადაწყვეტილება მიღებულია გარემოსდაცვითი

შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე და მოგვიანებით მიღებულია უარყოფითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოცხადდა, ტერიტორიას უბრუნდება ტყის სტატუსი არა უგვიანეს აღნიშნული გარემოების დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.

მუხლი 16. ტყის სტატუსის შეწყვეტის საკომპენსაციო ღონისძიებები

1. ტყის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი იხდის საკომპენსაციო საფასურს შესაბამისი ტყის მართვის ორგანოს/კერძო მესაკუთრის სასარგებლოდ. კომპენსირებას ექვემდებარება მიწის ფართობი, რომელსაც შეუწყდა ტყის სტატუსი, ხოლო მერქნიანი მცენარეების მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე მერქნული რესურსი, შესაბამისი მოცულობის მიხედვით, ჭრის განხორციელებამდე, ამ დებულების დანართ №2-ის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკომპენსაციო საფასურის გადახდის ვალდებულება არ ვრცელდება ამ დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ტყის საზღვრის კორექტირების შემთხვევებზე.

2[1]. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტყის სტატუსის შეწყვეტისას დაინტერესებული პირი იხდის მხოლოდ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკომპენსაციო საფასურს.

3. საკომპენსაციო საფასურის ოდენობა მიეთითება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაში.

4. გადახდილი საკომპენსაციო საფასური უკან არ ბრუნდება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის დადგენილება №94 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 17. ტყის სტატუსის შეწყვეტის საკითხის განხილვის უპირატესობა

1. ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასა და ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას შორის კოლიზიის შემთხვევაში, ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, უპირატესობა ენიჭება ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტყითსარგებლობის საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებას შეიძლება, მოჰყვეს არსებითი ზიანი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოება ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე ჩერდება ტყის სტატუსის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, გარდა ამავე მუხლში მოცემული გამონაკლისი შემთხვევისა.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.

თავი IV

ტყის საზღვრების დადგენა

მუხლი 18. ტყის საზღვრების დადგენის საფუძველი

სახელმწიფო ტყის საზღვრის (კონტურის) დადგენა ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო მუნიციპალური და კერძო ტყის საზღვრის დადგენა ხდება ამ დებულების მე-7 – მე-9 მუხლებით განსაზღვრული მთავრობის გადაწყვეტილების ფარგლებში.

მუხლი 19. ტყის საზღვრის დადგენის წესი

1. სახელმწიფო ტყის საზღვრების დაზუსტების შესახებ საკითხის დასმის უფლება აქვს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრულ სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამის ორგანოს.

2. ტყის საზღვრის (კონტურის) დადგენა ხორციელდება საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ტერმინის – „ტყის“ განმარტების შესაბამისად და ტყის საზღვრის (კონტურის) კორექტირებით. ტყის საზღვრის კორექტირების შემთხვევაში, ახალი საზღვრები დგინდება იმ სატყეო უბნის ფარგლებში, სადაც ხორციელდება საზღვრის შეცვლა.

3. ტყის საზღვრის (კონტურის) დადგენა შეიძლება, განხორციელდეს კამერალურად, საველე სამუშაოებით ან/და შესაბამისი ტექნოლოგიების (გეოინფორმაციული სისტემის) გამოყენებით ორთოფოტოგეგმისა და სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე (სახელმწიფო კოორდინატთა სისტემაში – WGS-84/UTM).

4. ტყის საზღვრები მაქსიმალურად უნდა გატარდეს ბუნებრივ მიჯნებსა და ადვილად ამოსაცნობ მყარ ორიენტირებზე (გეოგრაფიულ ობიექტებზე), ხოლო სხვა მიწათმოსარგებლეებთან (მესაკუთრეებთან) დაკავშირებით – მათ საზღვარზე. ტყის საზღვრის პერიმეტრიდან უნდა გაიმიჯნოს:

ა) საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ინფრასტრუქტურა;

ბ) მოქმედი საკულტო ნაგებობები;

გ) სასაფლაოები;

დ) საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რკინიგზა, წყლის არხები, დიდი მდინარეები, ტყის ძირითად ეკოსისტემას დაშორებული ფართობები;

ე) ყველა ის ფართობი, რომელიც მდებარეობს დასახლებებში (სოფელი, დაბა, ქალაქი) და მოცემული დროისთვის არ შეესაბამება სატყეო-სამეურნეო თვალსაზრისით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (საკარმიდამო ნაკვეთები, ხეხილის ბაღები და სხვ.).

5. სახელმწიფო ტყის საზღვრის ის მონაკვეთი, რომელიც ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, არ საჭიროებს დაზუსტებას. საზღვრად ჩაითვლება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული სარეგისტრაციო ზონის საზღვარი.

თავი V

ტყის საზღვრის კორექტირება/შეცვლა

მუხლი 20. ტყის საზღვრის კორექტირება/შეცვლა

1. ტყის საზღვრის კორექტირება/შეცვლა ხდება ამ დებულებით ტყის სტატუსის მინიჭებისათვის, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისათვის განსაზღვრული წესების დაცვით:

ა) საქართველოს ტყის კოდექსის მე-12 ან მე-13 მუხლით განსაზღვრული საფუძვლით;

ბ) ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყის მართვის მიზნით ჩატარებული ტყის აღრიცხვის საფუძველზე ტყის საზღვრის დადგენის/შეცვლის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქონების მმართველის მიერ სახელმწიფო ქონების აღწერის პროცესში გამოვლენილი და ტყის კონტურში მოქცეული, სახელმწიფო საკუთრებად დასარეგისტრირებელი ქონების რეგისტრაციის შემთხვევაში (ასეთი ქონება ექვემდებარება ფაქტობრივად დადგენილ საზღვრებში რეგისტრაციას).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების გარდა, საქართველოს ტყის საზღვარი შეიძლება, დაკორექტირდეს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მიწის

ნაკვეთზე სისტემური და სპორადული რეგისტრაციების ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანების „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ IV და IV[1] თავებით გათვალისწინებული წესით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტყის საზღვრის კორექტირების შემთხვევები არ საჭიროებს სამინისტროს დასკვნას.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის დადგენილება №94 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №444 – ვებგვერდი, 15.11.2023წ.

მუხლი 21. ციფრული მონაცემების რეგისტრაცია

ტყის საზღვრის კორექტირების/შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია და ციფრული მონაცემები აისახება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ოფიციალურ ვებგვერდზე.

თავი VI

გარდამავალი დებულებები

მუხლი 22. გარდამავალი დებულება

1. საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ტერმინის – „ტყის“ განმარტების შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2026 წლის 1 იანვრამდე ეტაპობრივად უზრუნველყოს სახელმწიფო ტყის საზღვრების კორექტირება.

2. ტერიტორიისთვის სახელმწიფო ტყის სტატუსის მინიჭება არ იწვევს ამ ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის მანამდე დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას ან მისი პირობების შეცვლას.

3. სახელმწიფო ტყის საზღვრების კორექტირების ფარგლებში საქართველოს ტყის კოდექსის ამოქმედებამდე ამორიცხულ ტერიტორიას სახელმწიფო ტყის სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ტერიტორიისთვის სტატუსის შეწყვეტის ის სამართლებრივი ინტერესი, რომელიც გახდა მისთვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

4. ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო საფასური ექვემდებარება შეცვლას, ქვეყანაში არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით, რაც უნდა განხორციელდეს ამ დებულებაში შესაბამისი ცვლილებით.

5. ამ დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტყის საზღვრის კორექტირების წესი მოქმედებს „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სისტემური და სპორადული რეგისტრაციების პროცესის სამუშაოების დასრულებამდე. ამ პერიოდის განმავლობაში ტყის მართვის ორგანოებმა, ტყის მართვის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი საქმიანობის ფარგლებში უნდა გაითვალისწინონ სისტემური და სპორადული რეგისტრაციების შედეგები.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №444 – ვებგვერდი, 15.11.2023წ.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 29.12.2022წ.

სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირებისთვის გათვალისწინებულ ფართობზე მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის უწყისი

მონიშვნის დაწყების თარიღი: _____;

მართვის ორგანო: _____;

სატყეო უბანი: _____;

სატყეო: _____;

კვარტალ(ებ)ი № _____, ლიტერ (ებ)ი № _____; ფართობი _____ ჰა;

სიმაღლის თანრიგი _____;

GPS კოორდინატები X _____Y_____; X _____ Y_____ (ფიქსირდება ფართობის თავსა და ბოლოში)

ხის №	ჯიში (სახეობა)	ხის დიამეტრი Dt	ხის ღეროს მოცულობა - კბ. მ	შეშა ვარჯიდან - კბ. მ	სულ ხის მოცულობა - კბ. მ	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
სულ:						

მათ შორის, ჯიშის (სახეობა) მიხედვით	ხეთა რაოდენობა	ხის ღეროს მოცულობა - კბ. მ	შეშა ვარჯიდან - კბ. მ	სულ ხის მოცულობა - კბ. მ	შენიშვნა

შენიშვნა: შეშა ვარჯიდან იანგარიშება ფოთლოვნებისათვის ხის ღეროს მოცულობის (ქერქით) 10%, ხოლო წიწვოვნებისათვის – ხის ღეროს მოცულობის (ქერქით) 5%, გარდა თხმელის, აკაციისა და წყავის ჯიშის ხეებისა. აღრიცხვის უწყისის ბოლო გრაფაში აისახება ცხრილში მითითებული რეკვიზიტების საერთო ჯამი. აღრიცხვის უწყისის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შესაბამისი ფართობის საკადასტრო აზომვითი ნახაზი (აღრიცხვა ხორციელდება თვითეული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით)

მომნიშნავი: _____

უწყისის შედგენის თარიღი:_____
აღრიცხვის მეთოდი: _____

არასრულყოფილად შევსებული ცხრილისა და არასწორი მონაცემების შემთხვევაში, სამინისტრო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებული ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში. განმცხადებლის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირებაზე უარის საფუძველია.

დანართი №2

ტყის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში საკომპენსაციო საფასურის გაანგარიშების წესი (დღგ-ის ჩათვლით)

ცხრილი №1

1 m^3-ისათვის გადასახდელი თანხა (ლარი) ჯგუფების მიხედვით						
№	**მოცულობა m^3**	**I ჯგუფი** უთხოვარი, ბზა, ღვია, ძელქვა, კაკალი	**II ჯგუფი** მუხა, წაბლი, იფანი, თელა, თუთა, ნეკერჩხალი ცაცხვი, პანტა, საღსაღაჯი	**III ჯგუფი** წიფელი, რცხილა, აკაცია, აკაკი, უხრავი	**IV ჯგუფი** ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია	**V ჯგუფი** ჯაგრცხილა, ჭადარი, ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები
1	**1 m^3-ის თანხა**	160	150	146	140	120
2	სახელმწიფო ტყეში ხე-მცენარეების მოჭრისათვის ამ ცხრილის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის ორმაგი ოდენობა სახეობების მიხედვით					
3	სამეურნეო კატეგორიის ტყის შემთხვევაში ხე-მცენარეების მოჭრისათვის ამ ცხრილის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის სამმაგი ოდენობა სახეობების მიხედვით					
4	სამეურნეო კატეგორიის ტყის შემთხვევაში წითელი ნუსხით განსაზღვრული ხე-მცენარეების მოჭრისათვის ამ ცხრილის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის ოთხმაგი ოდენობა სახეობების მიხედვით					
5	დაცული კატეგორიის ტყის შემთხვევაში ხე-მცენარეების მოჭრისათვის ამ ცხრილის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის ოთხმაგი ოდენობა სახეობების მიხედვით					
6	დაცული კატეგორიის ტყის შემთხვევაში წითელი ნუსხით განსაზღვრული ხე-მცენარეების მოჭრისათვის ამ ცხრილის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის ხუთმაგი ოდენობა სახეობების მიხედვით.					

შენიშვნა: ამ ცხრილის მე-3-მე-6 პუნქტებით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ტყის კატეგორიების მინიჭების შესაბამისად.

ცხრილი №2

№	ფართობის მოცულობა	საბაზისო თანხა (ლარი)

1	1-დან - 500 მ^2-მდე	1000
2	500 მ^2-დან -1000 მ^2-მდე	2000
3	1000 მ^2-დან - 5000 მ^2-მდე	3200
4	5000 მ^2-დან	0,72 ყოველ მ^2-ზე.